



მეცემსი

№ 10

ო რ ბ ი ც ი ა ლ უ რ ი ბ ა ნ ყ რ ფ ი ლ ე ბ ა .

უმაღლესი ჯილდონი.

ხელმწიფე იმპერატორმა, უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის უქვეშევრდომილესის მოხსენებითა, თანახმად უწმ. სინოდის განჩინებისა, ამა მაისის 6 დღესა უმოწყალესად ინება დაჯილდოვება სასულიერო პირთა ქვემოლ მოხსენებული ნიშნითა ეპარქიის უწყებაში სამსახურისათვის.

საქართველოს საეგზარხოზოში: **მე-4 ზნაისხას წმ. ვლადიმირის ორდენით**—ხვირის ეკკლესიის ქუთ. მაზრის იმერეთის ეპარქიისა დეკანოზი მიხეილ მჭედლიძე; **წმ. ანნას მე-2 ზნაისხას ორდენით**—სოფ. ჩხერის, შორაპნის მაზრის, იმავე ეპარქიის დეკანოზი ერმალოზ ვეფხაძე; რეკტორი თფილისის სასულიერო სემინარიისა არხიმანდრიტი გრიგორი; საქართველოს ეპარქიის მონასტრების ბლაღოჩინი არხიმანდრიტი დოსითეოს; **მე-3 ზნაისხას წმ. ანნას ორდენით**—იმერეთის ეპარქიის, ქუთ. მაზრისა ეკონომი მოწამეთის მონასტრისა ილუმენი სპირიდონი; სოფ. გუდავეთის, სამურზაყანოს უჩასტკის, სოხუმის ეპარქიისა მღვდელი მათე ხარებაეა; თფილისის მე-2 სამისიონერო ეკ. დეკანოზი სერგი გოროდცევი; თფილისის კათედრის სობოროს ეკკლესიის მღვდელი ალექსანდრე სიმონოვი; ბაღაბანის ეკ. მღვდელი ალექსანდრე ხიტროვი; ელისავეტოპოლის მოსაზღვრე დარაჯთა ეკ. მღვდელი ალექსანდრე ტატუნოვი; თფილისის მამა დავითის ეკკლესიის მღვდელი ნეს-

ტარ მაქაროვი; **გ) შვედის ჯგრათ მათი იმპერატორებისათვის კაბანეტელან**—ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის წინამძღვარი ილუმენია იუვენალია.

განჩინება უწმიდესი სინოდისა.


12 აპრილიდან 1906 წლის №1906 სასულიერო პირთა დაჯილდოების შესახებ სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის.

მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის უქაზისამებრ, უწმიდესმა და უმართებელესმა სინოდმა მოისმინა ეპარქიის მღვდელთ-მთაფრების, მოსკოვის სინოდის კანტორის და სასახლის სამღვდლოების გამგის წარმოდგინებანი მათადამი რწმუნებული სასულიერო პირთა დაჯილდოებაზე სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის. ბრძანეს: საფუძველს ზედა მომხდარ მსჯელობათა უწმ. სინოდმა განაწესა: წარმოდგენილ სიებსა შინა მოხსენებულნი სასულიერო პირნი იქნენ დაჯილდოებულნი სიებში აღნიშნული ჯილდოებითა და მღვდელ-მთაფართა, მოსკოვის კანტორის და სასახლის სამღვდლოების გამგეთა საკნობლად დაჯილდოებულ პირთა სია დაიბეჭდოს „საეკკლესიო უწყებაში“.

საქართველოს საეგზარხოზოში: **ა) არქიმანდრიტის ზნაისხით**—იმერეთის ეპარქიის, რაქის მაზრის. ქელიში მონასტრის წინამძღვარი ილუმენი გრიგოლი; **დეკანოზობის ზნაისხით**—სოფელ ქედის ეკკ-

ლესიის, ქუთაისის მაზრის მღვდელი იუსტინე მოფორია; სოფლის თხვისის, შორაპნის მაზრის, იმავე ეპარქიის მღვდელი იოსებ წერეთელი; ს. სხვაის ეკლესიის, რაჭის მაზრის, იმავე ეპარქიის მღვდელი მიხეილ სხირტლაძე; ქ. ქუთაისის ამაღლების ეკლესიის მღვდელი ივლიანე აბესაძე; სოფელ ფარცხა ნაყანვეის ეკლესიის ქუთაისის მაზრის, იმავე ეპარქიის მღვდელი გიორგი ფხაკაძე; სოფლის ქუვიშის ეკლესიის, ლეჩხუმის მაზრის, იმავე ეპარქიის, მღვდელი ნიკოლოზ ფრუიძე; ზედამხედველი ტფილისის სასულიერო სასწავლებლისა მღვდელი იოანე ბუტირიკი; მღვდელი ჯავის სამრევლოსი ზურაბ გიოშვილი; პლოდოროდნის სამრევლოს მღვდელი ნიკოლოზ კომარი; ტფილისის კოლოუმბნის ეკლესიის მღვდელი მათე მონასელიძე; ბაქოს საკრებულო ტაძრის მღვდელი ალექსანდრე ალექსანდრიისკი; ბ) უწმინდესის სანადასკან გამაგებულის მკერდას ჯვრათ—სოფლის ამაღლების, ქუთაისის მაზრის, იმერეთის ეპარქიის მღვდელი მაქარია მჭედლიძე; ქ. ქუთაისის, სატუსალოს იოანე ნათლის მცემლის ეკლესიის მღვდელი იოანე კერესელიძე; რცხილათის სოფლის ეკლესიის მღვდელი, შორაპნის მაზრისა ბესარიონ გოგასაძე; ჩხარის ეკლესიის იმავე მაზრის მღვდელი მოსე ჯუღელი; ს. ხრეთის ეკლესიის იმავე მაზრის მღვდელი მიხეილ ჯაფარიძე; ს. ძეძელეთის ეკლესიის, ქუთაისის მაზრის მღვდელი ლეონ გორდულაძე; ს. კორვილის ეკლესიის, შორაპნის მაზრისა მღვდელი ალექსი ჯაფარიძე; ქ. ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიის მღვდელი ტიმოთე კაპანაძე; ს. მათხოჯის ეკლესიის, ქუთაისის მაზრის მღვდელი სამსონ შენგელია; სოხუმის ეპარქიის დრანდის მიძინების მონასტრის მოწესრიგე მღვდელი მონაზონი სპირიდონი; ტფილისის ნათლის მცემლის ეკლესიის მღვდელი იოანე მიხაილოვსკი; ქ. ნახივანის ეკლესიის მღვდელი ანანია ქსენოლოხოვი; ბაქოს საკრებულო ტაძრის მღვდელი სიმონ ლიაძე; იმავე ტაძრის მღვდელი ალექსანდრე ბლაგოვეშენსკი; ქ. თფილისის ვერის ნიკოლოზის ეკლ-

ლესიის მღვდელი გრიგოლ გამლიშვილი; ტფილისის ფერიცვალების მონასტრის მოღარე მღვდელი მონაზონი ვაბრიელი; გ) კაშაღაგებთათ—ს. ვანის, ქუთაისის მაზრის მღვდელი ამბერკი მომფორია; ს. თერჯოლის შორაპნის მაზრის, ეკლესიის მღვდელი ონისიმე სულაქველიძე; ს. კონტოეთის შორაპნის მაზრის, ეკლესიის მღვდელი იოანე ჩარგეიშვილი; ს. ორგულის, შორაპნის მაზრის, ეკლესიის მღვდელი ირაკლი აბაშიძე; ს. ალავერდის, შორაპნის მაზრის ეკლესიის მღვდელი ალექსანდრე არღვიშვილი; სოფ. ცარქის, სამურზაყანოს ნაწილის, ეკლესიის მღვდელი რომანოზ ჯალაგანიძე; ს. საბერიოს, იმავე ნაწილის ეკლესიის მღვდელი ბესარიონ ჩხიკვაძე; ქ. სუხუმის სასაფლაოს წმიდის გიორგის ეკლესიის მღვდელი აბრამ ივანოვი; ქ. ნოვოროსისკის, ნიკოლაევის სობოროს მღვდელი პეტრე ოტდელნოვი; წინწყაროს სამრევლოს მღვდელი ნიკოლოზ სეზასტიანოვი; ტფილისის ბერძნის ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელი ბენიამინე კონტრიძე; ერევნის სობოროს მღვდელი ფედოსი აკიმოვი; ვარიანის სამრევლოს მღვდელი რაქდენ აფციანური; კახახის ეკლესიის მღვდელი ლაზარე ნათიძე; ვიაზინკეის სამრევლოს მღვდელი სტეფანე ანდრიანოვი; ორდუბათის სამრევლო მღვდელი გიორგი ჩალაძე; ქ. შემახის ეკლესიის მღვდელი მათე ლიტვინსკი; შკოლბის მეთაფაყურე მღვდელი არკადი გოროდეკვი; ბაქოს სამზღვრის საღარაჯო ეკლესიის მღვდელი ალექსანდრე ბასკაროვი; კაილასარის სამრევლოს მღვდელი ალექსანდრე ალავერდოვი.





მეცემსი

№ 10

№ 10

1883—1906 წ.

30 მაისი.

ზ ი ნ ა ა რ ს ი.

ოფიციალური გამართობა: უმაღლესი ჯლდონი სასულიერო პირთა დაჯილდოების შესახებ სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის.

სალიტერატურო განმარტობა: საგრძნობელი შეცდომა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კითხვაში, ეპისკ. ლენინისა.—რა პირობებში უნდა იყერიის ეკლესიისთვის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენის მოთხოვა, დეკ. ნ. თალაქაძის.—მოკალაქობრივი თავისუფლებანი და ქრისტიანობა (რუსულიდან), მღ. კ. ანთაძის.—განების საღაროდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მცენიერება ქრისტიანობაში საჩუქრობასა და კითხვ-ჯანმრთელობაზე: ღმერთი მაცხოვარი და განმანათლებელი, ი. ბალუევის.

საბრძოლველი შემდგომა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კითხვაში.

ბევრი წერილები და გამოკვლევა დაიბეჭდა ამ უკანასკნელ დროს რუსულ-ქართულ გამოცემებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, და, როგორც ეტყობა, უფრო მეტის მოლოდინი უნდა გვექონდეს კიდევ მომავალში. ამ წერილების საშუალებით თითქმის ყოველ მხრივ გამოირკვა და ცხადი შეიქნა ჩვენთვის აღნიშნული საკითხი, რომელიც, სიმართლე უნდა ვთქვათ, დღევანდლამდე ნშირი სიბნელით იყო ყველასთვის გარემოცული. დღეს ბევრისთვის აღარაფერ საეჭვოს და საცილობელს არ წარმოადგენს დასმული კითხვა ისტორიულ-კანონიერი მხრით.

მაგრამ, ყველა ამასთან, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ზოგიერთ ამ წერილებთანში გატარებულია ერთი მეტად საგრძნობელი შეცდომა, რომელიც, თუ ესლავე არ ჩამოვაცალეთ ამ საკითხს, ბოლოს ძალიან სასინანულოდ და ცხვირში საცემლად დაგვრჩება პირველად ეს შეცდომა გამოსატყვა საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის გეგმამ. გეგმაში აშკარად და გაბედულადა ნათქვამი, რომ საქართველოს ქათალიკოსის ეკლესიური მართვა გამგებობა უნდა შეეზღუდოს მხოლოდ ქართველი მოღვაწის მართლ-მართებულ ერებს, ქართველი ქათალიკოსის იურისდიქ-

ცია უნდა სავალდებულო იქმნას მართლმადიდებელთა თბილისის, ქუთაისის და ბათუმის გუბერნიების, სოხუმისა, ყარსისა და ზაქათალის ოლქების მკვიდრ მორწმუნე ქართველთათვისაო. თითქმის ამასვე იმეორებს ბ. ნატროშვილიც თავის წერილში, რომელიც დაბეჭდილია ამ წლის „სასულიერო მოამბის“ № 8-ში. ბ. ნატროშვილს საქიროდ მიანიჩა, რომ ამიერ კავკასიაში (ზაკავკაზე) მცხოვრებ მორწმუნე რუსებს ჰყავდეთ უწმიდესი სინოდის განკარგულების ქვეშ მყოფი, ე. ი. ქათალიკოსიგან დამოუკიდებელი, ეპისკოპოზი ბინარობით ბაქოში ან ვლადიკავკაზში. ამ გვარად გამოიღო, რომ საქართველოს ეკლესიის სამწყსო ანუ სხეული უნდა განისაზღვრებოდეს გარეშემო-იყრებოდეს და ფარგალ მოსმულ იქმნეს მართო ქართველი ტომის ერებით.

ჩვენ ვერ გავგვიგია, რა მოსაზრებამ მიიყვანა გეგმის შემდგენელები, ან ბ. ნატროშვილი ამ უცნაურ აზრამდე, რომელი საბუთის ძალით მსჯელობენ იგინი ასე თავისებურად? როგორც არაოდეს არ ყოფილა ქვეყნიეროაზე სამეფო, შემდგარი არტოდ-მართო ერთი მოღვაწის მკვიდრთაგან, ისე არაფის სმენია ავტოკეფალური ეკლესია ერთი ჩამომავლობის სამწყსოს შემდგენელობით. საქრისტიანო ეკლესიის წარსულმა ისტორიამ არ იცის მგავლით, რომ სადმე ავტოკეფალური ეკლესიის მიღებო ან სამწყსო გვარტომობით, ჩამომავლობით, მოღვაწით არ ყოფილიყოს ფერადი, ნიარ-ნიირი და



სხვადასხვა გვარი. მაშ რა საბუთი აქვთ, რომ საქართველოს ქათალიკოზის სამწყსოს ბაკში მარტო ქართველებს ელაღებინა? რის მომსწავებელია, რომ საწინდელ ხორბლისავით თითოთ არჩევენ კავკასიის მკვიდრთაგანა მარტო ქართველებს, ქართული ეკლესიის სამწყსოდ? მით უფრო საკითხი და გასაოცარია ეს ჩვენთვის, რომ წარსულში, ქართველი მოღმბის ერებთან ერთად, საქართველოს ქათალიკოზის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდნენ აგრეთვე ოსები, უღინები, საქართველოში დასახლებული ბერძნები და სხვები, რომლებსაც არავითარი ჩამომავლობითი ნათესაობა არა ჰქონდათ ქართველებთან? ან არა და რომელი მოღმბითი ერთობა აკავშირებთ ველიკოროსსა და მონათლულ ვოტიას, მართლმადიდებელ ლატიშს და მალოროსს, რომ ყველანი ითვლებიან რუსების ეკლესიის სამწყსოდ?

არა, ეკლესიაურმა კანონიკამ არ იცის ავტოკეფალური ეკლესიების სამწყსოთა შედგენა ეროვნობის მიხედვით. ერთი და იგივე ადგილობრივი ეკლესია ყოფილა და არის მშობელი დედა ადგილობრივ მორწმუნეთათვის განუტრეგლად მათი ჩამომავლობისა; ეკლესია ჰგომობს, უარ-ჰყოფს და დანაშაულად სთვლის, როდესაც მის სამწყსოს საზღვრავენ ეროვნებითი ნათესაობის მიხედვით, ხალხთა ჩამომავლობითი ერთობით, მოღმბური კავშირით. ესეთი მოძღვრება ცნობილია ფილეთიზმად და მისი მიმდევარი ითვლებიან სხიზმატიკებად. ფილეთიზმი არის განმეორება ვერაგული პრინციპისა *divide A impera*; და აკი სწორეთ ამის გამო ორივე ხელთ ებლაუჭებოდა ამ პრინციპს ცნობილი ვოსტორაგვი და დიდს გულმტივენლობას უჩენდა სვანთა, აფხაზთა, მეგრეთა და ოსთა ეკლესიურ თვით გამორკვევას! აკი მას ეკლად მიანდა ამ ერთა შორის ეკლესიური სოლიდარობა და სარწმუნოებრივი კავშირი!

რასაკვირველია, ჩვენ ვერ დავწამებთ ვერც ბ. ნატროშვილს და ვერც გგემის შემდგენელებს ფილეთიზმის მომხრეობას, იქნება მათ ეს სიტყვა სულაც არ გახსენებიათ, როდესაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ წესწყობილებაზედ ბჭობდნენ, მაგრამ, თუ მათ მიერ ნაჩვენებ გზას დავადევით, თუ მათი აზრი მივიღეთ, თუ საქართველოს ეკლესიის სამწყსოდ მარტო ქართველი მოღმბის ერები ჩავთვალეთ, ფილეთიშს ვერსად ვერ

წაუვალთ; მაშინ ფილეთიზმი ყოველი მხრით შეგებოქავს, მაშინ ჩვენი ეკლესია უნდა აუცილებლად შესუსტდეს დაიბნეს პატარ-პატარა ნაწილებად, დაქუცმაცდეს, დანამცეცდეს; მისს სხეულს უნდა მოსწყდენ, მოეკვეთ-მოეგლიჯონ მასთან შესისხლობრ-ცეხუთლნი, შეზრდილ-შეუღლებულნი, ბუნებრივად შეთვისებულნი წევრნი—ოსები, უღინები, აფხაზები, ბერძნები და სხვები; წინააღმდეგ მოციქულთა კანონებისა, ჩვენი ეკლესიის გამგეს უნდა გვერდში ამოუდგეს მართლმადიდებელ რუსთა ეკლესიის დამოუკიდებელი უფროსი და მით აენთოს ამ უფროსთა და მათ სამწყსოთა შორის მტრობისა, შურისა და მეტოქობის გაუქრობელი კოცონი. ჩვენ მეზობლად მყოფი უცხო ეკლესიის გამგე ხომ მუდამ იმის ფიქრსა და მეცადინეობაში იქნება, რომ, რამდენათაც შეეძლება, გამარჯვლოს და გააძლიეროს თავისი სამწყსო; მისი გულისა და გონების ლტოლვილება ხომ ის იქნება, რომ როცა უნდა იქნეს, ხელთ იგდოს და დაისაკუთროს ჩვენი ტერიტორია; განა ეს მცირედი საქმეა? განა მაშინვე ნაყაღულივით არ მოუშვებენ ჩვენკენ გადმოსახლების მსურველებს? განა ცოცხა ვიწვინეთ და ცოცხა ვნახეთ ამის მსგავსი საქმეები?

დავანებოთ ყველა ამას თავი. ბატონ ნატროშვილის და გვემის მოსაზრება რომ მიიღოს ჩვენმა ეკლესიამ, იგი თავის თავად მოსწყდება მსოფლიო ეკლესიასთან ერთობას, ჩავარდება ბოღგართა ყბად აღებული ეკლესიის უხერხულ მდგომარეობაში და სამართლიანად დამისახურებს სხიზმატიკური ეკლესიის სახელს. რა ყურება მაშინ ცარიელ ავტოკეფალიაში? ავტოკეფალიას ველტვით სიკეთის შესამქნაღ და არა საზარალოდ, ეკლესიის აღსაღმად და არა დასარღვევად, სარწმუნოების გასაძლიერებლად და არა მის გასაქრობად, ძირით ფესვამდე ამოსაგდებათ. ავტოკეფალურ ეკლესიას ყველაზე პირველად უნდა ამკობდეს სრული და ყოველმხრივი მოძღვრებითი ზიარობა ანუ ერთობა მსოფლიო ეკლესიასთან, მერე მას უნდა ჰქონდეს საკუთარი ტერიტორია, შემდეგ უნდა ჰყვანდეს საკუთარი სამწყსო, შემდგარი მისს ტერიტორიაზედ მოსახლე ერთ მორწმუნე ხელმწიფისაგან განუჩრეულად მათი ეროვნული მოღმბისა და ბოლოს უნდა მმართველი მისი იყოს თავისუფალი გამგე მისდამო ჩაბარებული ეკლესიის კანონებისა. ასე გვესმის

დაახლოვებით ავტოკეფალობა, ესაა, ჩვენი შეხედულებით, არსებითი შინაარსი ავტოკეფალიისა; ამ შინაარსობრივი მხარეების მოაოვება გვაქვს ჩვენ სახეში, როცა ვთხოულობთ ავტოკეფალიას.

ამისდა მიხედვით, საქართველოს ეკლესიის სამწყსოდ ქართველ მოღვმის ერებთან ერთად და მათთან განუყოფლად უნდა იყენენ აღიარებულნი ა) რუსები, რომელნიც სცხოვრებენ ივერიის ეკლესიის ტერიტორიაზედ, ბ) გორისა და ლუშეთის მაზრის ოსები, რომელთაც ძველად მწყსიდა ნიქოზელი, გ) საქართველოში დასახლებული ბერძნები, რომელნიც შეადგენენ ახტალის ეპისკოპოსის სამწყსოს, დ) უღინები—გიშული მღვდელთმთავარის სამწყსო, ე) აფხაზები და სხვა წვრილმანი ერები, რომლებიც ასახლია ჩვენს ტერიტორიაზედ.

ქართული ეკლესიის ტერიტორიაზედ გამოკვარახქინება და სოლიით შეგდება რუსული ეპარქიისა, როგორც ამას საზრისობს ბ. ნატროშვილი, იქნება სრული უკუღმართობა და მამათა დადგენილების დარღვევა.

აი, სხვათა შორის, რა მკაცრად და სასტიკად ჰქიცხავს ამ გვარ მოვლენას ეფესოს კრება და რა ჩინებულს განჩინებას ადგენს მის გამო: „ ნუმცადინ დვობის მოყვარეთა ეპისკოპოსთაგანი მიიტაცებს სხვასა სამთავროსა (ეპარქიას) რომელი პირველითა განვე და ზემოთგან (წინეთ) არა მის ქვეშე ღ მისთა უწინარესთა საყდრის მპყრობელთა ქვეშე განწყსებულ იყოს; (ივერიის ეკლესია პირველითაგანვე რუსეთის ეკლესიის სინოდის გამგეობის ქვეშ არ იყო, გარნა მიტაცებული იქმნა მისგან) „ არამედ, უკეთუ ვინმე მიიტაცა და ხელმწიფებასა მისსა ჰყოიხულებით (სწორედ ასე მოექცა საქართველოს ეკლესიას სინოდი), ცხლად განათავისუფლდენ იგი (ასე უნდა ინებოს კვალა სინოდმა), რათა არა კანონთა მამათას გარდახდნენ, არცა სახესა შინა მღვდელთობისასა ზეაობა მსოფლიოისა მთავრობის მოყვარებისა იპოოს (ყველა ეს მთლად დაეწყებულ იქვს სინოდს), არცა წარვეყმდით თავისუფლება მკირედ-მკირედ (ვის ახსოვს ჩვენი თავისუფლება?), რომელი თვისითა სისხლითა მოგვანიჭა ჩვენ იესო ქრისტემან, განმათავისუფლებელმან ყოველთა კაცთამან!

ქპისკ. ლეონიდა.

რა პირობაში უხდება ივერიის ეკლესიისთვის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენის მოთხოვნა?

1800 წელსა დეკემბრის 29 მიიცვალა საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი მე XII და მასთან ერთად შესწყვიტა ჩვენმა ქვეყანამ პოლიტიკურ თვით არსებობის მაჯის ცემაც. 18 იანვრის 1801 წლის მანფესტით იმპერატორმა პავლე I-მა შეუერთა საქართველო რუსეთის სახელმწიფოს 12 სექტემბრის იმავე წლის მანფესტით იმპერატორმა ალექსანდრე I-მა აუწყა ქართველ ერს, რომ ისტორიულად იქმნა რუსეთის სახელმწიფო რუახის სრულ უფლებიან წევრად და ამის შემდეგ იმპერატორისათვის ერთად-ერთ და ამასთანავე ფრიად სასიამოვნო ზნეობრივ ჯილდოთ მიჩნეულ იქნება ამ ერის კეთილდღეობა..*)

ამ ისტორიულ აქტის შემდეგ ქართველმა ერმა, რასაც მის მთხოვმეტე საუკუნეიდგან მოკიდებული გამუდმებით თხოულობდა, თითქმის—მიიღო რასაც გაფაციკებით ეძიებდა,—ჰპოვა..

რას თხოულობდა ქართველი ერი რუსეთის გვირგვინოსნებისაგან? რას ეძიებდა ის რუსეთის ერთმორწმუნე ერის ძმობა-ერთობაში?—ქართველი ერი რუსეთის ტახტისაგან თხოულობდა მფარველობას. მამაცი, ზღორა მკირე რიცხოვანი ქართველი ერი, გმირულ თავგანწირვით იცავდა თვის ტურფა სამშობლოს, რომელიც მერზობედ სხვა რჯულის ერთ სეფარჯიშო მოედნათ გაეხადათ, ხოლო ეს მოედანი,—მათთვის საცილობელი ვაშლი,—ერთი ხელიდან მეორეში გადადიოდ-გამოდიოდა. ქართველი, ქრისტეს მშოსავი ერი კი, ასეთ ბარბაროსულ ბურთაობაში იტყუიტიტებოდა, ნიაფეცბოდა,—მისი წმიდათა-წმიდა—ქრისტეს სარწმუნოება, ამ სარწმუნოების ნიადაგზე საუკუნოებით აღმოცენებული ქრისტიანული ზენ-ჩვეულება—კულტურა, იბლალებოდა, იმუსტებოდა. ცალ ხელ-

*) ამავე დროს რუსეთსა და საქართველოს შორის დიდვა ისეთი პირობა, რომლის მსგავსი არა აქვსთ-რა რუსეთსა და სხვა ვანაპირა ქვეყნების ხალხთა. ამ პირობის ასრულების მოთხოვნის უფლება არა აქვს ჩვენს ელანდელ აღრჩულ სახელმწიფოს სთათბირის წევრებს, რადგან იგიინ მთელი საქართველოს ხალხის წარმომადგენელი კი არ არის, არამედ ერთი უმცირესი ჯგუფისა. მთელმა საქართველოდ უნდა აღიზრხოს საზოგადოების წარმომადგენელი და მათ უნდა მოითხოვოს ამ პირობის აღსრულება. დიდი სამწუხაროა, რომ ეს პირობა ყველამ არ იცის. რედ.



ში ხმლით, მეორეში ქრისტეს ჯგირით ქართველი ერი იბრძოდა, უამრავ მტერს თავს არ უღებდა, მაგრამ ერთი ათზე, ერთი ათასზე რას გახდებოდა?!.. ასეთ ვითარებაში ჩამდგარი ერი მაინც არ გატყდა და ძლელულად თვისი თავი არ გამოაცხადა; არ ეგონა ის მათ, ვისაც მისი დამონაწევება ასე სწყუროდა! ქართველმა ერმა თვის ეროვნობის და სარწმუნოების დასაცავად განიზრახა თავი ჩაედო ცრთომარწმუნე რუსეთის კალთაში და კიდევაც ჩაუღო...

ჩვენ მეტად მივიჩნია გავივივროთ ის, რაც ბევრჯერ თქმულა და დაწერილა იმის შესახებ, თუ რამდენად დაკმაყოფილებულ იქმნა ქართველ ერის რუსეთისადმი შემავრებელი სულის კვეთება. ვიტყვით მხოლოდ, რომ ასეთ შეერთების შედეგად მოჰყვა ქართველ ერისაგან საუკუნეებით შექმნილ მოქალაქობრივ წესწყობილებათა გაუქმება, ხოლო ჩვენი ქვეყნის ახალ გამგეთა ამ რიგ ფაცი-ფუსი-ივრის ეკლესიაც მიფუჩეჩებულ იქმნა. ყოველივე კანონის ვანუქითხავად, ისიც შეუერთეს რუსეთის სინოდს.

ამ, ვითომ და, აქტის შემდეგ ქართველ ერს დაუქვრივდა მშობელი დედა—თვისი ეკლესია. ჰერეტიკობის ხვედრი ძნელია, მათი მდომარეობა ხშირად აღუტანელია ხოლმე, ხოლო ქვრივიც არის და ქვრივიც. ზოგი ქვრივი შვილების იმედით არ ჰკარგავს სასოებას, ის მედგრად უხვდება წინ ყოველივე გაჭირვებას და იბრძვის უკეთეს მომავლის მომლოდნელი...

მიუხედავად ყოველის განსაცდელისა, მიუხედავად ყურ-მოჭრილ მოსამსახურობის სახელმწიფო ინტერესებისადმი, რომელსაც ძალა-უნებურად ეწეოდა ჩვენი ეკლესია ამ 95 წლის განმავლობაში, მასში მაინც არ მიწვდებოდა თვის უფლებათა და ღირსებათა შეგნება. ივერიის ეკლესიამაც სიქვა თავისი სიტყვა ამ ვერვლ წოდებულ განმათავისუფლებელ მოძრაობის ხანაში, რომელსაც სიმწვავეთ განიცდის დღეს ჩვენი სახელმწიფო. დღეს ივერიის ეკლესია ხმაალა ღალადებს წართმეულ ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენაზე, —თვის პირდაპირ მოვალეობის—ქართველ ერისადმი სარწმუნოებრივ—ხნეობრივ—სამსახურისათვის. სხვა ფრიც არ ძალუკნ ეკლესიის თვის წმიდა მოვალეობის პირნათლად აღსრულება. ეს ცხადია, ამას განმარტება არ სჭირდება.

რა პირობებში უხვდება ივერიის ეკლესიის თვის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენის მოთხოვნა? ერთი მხრით პირობები თითქოს ხელსაყრელია; 17 აპრილის მანიფესტი, ასი წლის ისტორიული მკაცრი გამოცდილება სინოდის ხელქვეით ყოფნისა, „დაურღვეველი ისტორიული საბუთები“ მის სრულ ავტოკეფლობისა, სეკკლესიო კანონების ავტორიტეტული ხმა—რომილიმე ეკლესიისაგან ავტოკეფალურ უფლებათა ჩამორთმევის წინააღმდეგ კათოლიკე ეკლესიისათან შეუთანხმებულად, ისიც საპატიო მიზეზების დადებით.—რამდენად ეს პირობები ხელს უწყობს ჩვენი ეკლესიის უფლებათა აღდგენის საქმეს, იმდენად მეორე წყება პირობებისა მკაცრი და ხელის შემშლელია. აი ეს პირობები: რეაქციის გამარჯვება, ბიუროკრატიის ცბიერი იქვები სებარატობის სარჩულზე და ამ იქვებისაგან გამომდინარე ღონისძიებანი სებარატობის წინააღმდეგ საბრძოლველად.—ამ ქირს ჩვენი ეკლესია, როგორც იქნება, კიდევ გაუძლებს და სძლევს კიდევაც, რომ თვით ჩვენში არ იყოს უფრო მძიმე და საბედისწერო დაბრკოლებები. ეს დაბრკოლებები ორი ჯურისანი არიან. ერთ ჯურს დაბრკოლებებისა ჩვენ უწოდებთ სახელად—იუდეურ—რენეგატულს, მეორესას კი—ინტელიგენტ—პარტიულს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ—ლიტერატორულ—პუბლიცისტიურს, აღმოცენებულს უტოპიურ სოციალიზმის მოძღვრებაზე, უფრო ხშირად კი გამოწვეულს ფეხის ხმის აყოლით, ანუ „მოდერნ“ ულმერთობის თამაშით.

მკითხველის ყურადღებას ჩვენ შევაჩერებთ უკანასკნელ ორ ჯურ დამაბრკოლებელ პირობებზე—იუდეურ-რენეგატულ და ინტელიგენტ—პარტიულ—პუბლიცისტიურზე. არას ვიტყვით სხვებზე, ვინაიდან ისინი საზოგადო ხასიათისანია და თავის თავადაც დაიშლებიან, ხოლო ეს უკანასკნელი ორგანიუდონია და როგორც ასეთი—უფრო სახიფათონი, თუ ღროზედ არ ალაგმულ იქმნენ.

მკითხველმა კი არ იფიქროს, ვითომც ჩვენ ვეკისრულობთ ამ დამაბრკოლებელ პირობებთა ალაგმვას,—ეს ჩვენ ძალ-ღონე-გონებას აღებატება, ჩვენ გვსურს მხოლოდ რამოდენიმე მოსახრებები მოვიყვანოთ მათ შესახებ.

ისეთ საზოგადოებაში, ანუ „უწყებაში“, რომელიც მოკლებულია თვით გამოარკვევის უფლებებს,

სდგას ბატონ-ყმურ განწყობილების ნიადაგზე და მუდამ თვალში შესჩერებია ბატონს, რომ ამ უკანასკნელის სახეზე წაიკითხოს თუ რა ესია მოვინება მას, რომ ლაქიური წინდაწარებით დააკმაყოფილოს მისი სურვილი, — ბუნებრივი მოვლენა იქნება რენე-გატების ყოლა: ჩვენც გვეყვანან ასეთები და, ვფიქრობთ, ბლომდაც გვეყვანან. თუმცა არც იმდენი, რამდენიც მტერს ესია მოვინება და მოყვარეს დააღონებს. ასეთ სუბიექტების ზნეობრივი სახე და ხშირად ვინაობაც ჩვენთვის გამოურკვეველია ხოლომე, ვინაიდან ისინი ლეიპცი შვილი არიან ისკარიოტელისა, რომელმაც ამბოარის ყოფით ვასცა მაცხოვარი...

ასეთ ტიპურ ნიმუშს გამცემლობისას წარმოადგენს სინოდის ორგანოში (№13-14) დაბეჭდილი წერილი უსახელო წერილი „ქართველ სოფლის მღვდლისა“. ამ სულიერ მამას სახიფათოდ მიაჩნია თვის სახელის გამოცხადება, ამიტომ ალბად შევედრებია აღნიშნულ ორგანოს რედაქციას — არამც და არამც არ გამომამყლავნოთო და მათაც ხეაშიადი შეუნახავთ. მკითხველო, უტყველია, მოიგონებთ ამ რამდენიმე ხნის წინად გამოუყველ მითქმამოთქმას „გარუზინის“ ნილაბ ქვეშ ამოფარებულ კატეხორა ქალაქის ერთ-ერთ ვახეთის არა მკითხველ კორესპონდენტისაგან. ეს „მღვდლისა“ ალბად იმ ბაღისა ბრძანდებდა... ასეთი ნათესაობა ჩვენ არ გვაკვირვებს, საკვირველია მხოლოდ ის, რომ ამ „სოფლის მარისს“ რატომ გაუკვირდა ანუ, უკეთ რომ ესთქვათ, — რატომ ჩვენ სამღვდლოებას დასალო მთელი ტვირთი ბრალდებისა, რომელსაც იწვევს ორგანოში მოყვანილი, ხოლო ჩვენი პროექტიდან გამოტოვებული ორიოდ დღეგატისაგან სადღეგატო კრებაზე წამოყენებული ოთხიოდ მუხლები? ეს მუხლები, ვარდა მეოთხე მუხლისა, ქართულ ზნეობრივ თუ კანონიურ სიფაქიზის ნაყოფი როდია! პირველი სამი მუხლი რუსეთის სამღვდლოებას დადგენილებებში ჩვენზე წინად იყო გამოცხადებული. ნუ თუ სინოდის ორგანომ ეს არ იცის?! — ჩვენ ვიცით, რომ იცის და მეტიც იცის, მაგრამ რაც ალბად ერთს ადვილიად ეპატებება, ის მეორეს დიდ დანაშაულად ჩაეთვლება ხოლომე; თუ გინდის ეთიად, რომ საქმარისა ავტოკეფალიის ღირსების ჩამოსართმევადაც კი... დამწვიდნით, ბატონებო!, ქართული სამღვდლოება მტკიცედ სდგას კანონი-

ურ საფუძველზე, ხოლო ეს სიმტკიცე უფრო შეურყეველი გახდება მასში, როდესაც ის ატოკეფალურ ეკლესიის მსახური იქნება, რაც ბუნებრივად გაუორკვევებს მას სიფიზლეს და ზნეობრივ სიფაქიზეს... ხოლო თუ დღეგატთა კრებაზე განმეორებულ სქმნა რუსეთშივე წამოთქმული „მუხლები“, ეს ადვილი ასახნეულია — ამით ჩვენმა ორიოდ „რადიკალმა“ ხარკი მისცეს დროებას და სხვა არაფერი! ესევე ითქმის მეოთხე მუხლზედაც — ქალების მედავითნობაზე. ეს მუხლი კი უფრო შეშვენოდა ქართველ მღვდელს, ვინაიდან ჩე ნი ისტორია გვეუბნება, რომ ქართველთა განმანათლებელი იყო ქალწული მოციქულთა-სწორი წმ. ნინო და მეთორმეტე საუკუნეში მეფედ გვეყვდა — ქალი — სახელგანთქმული ნეტარი თამარ დედოფალი. ასეთი ვითარებები და ასოციაციის კანონით ერთმა მღვდელმა ისურვა იმ მუხლის შეტანა პროექტში, — მაშინ ხათრი ვერ გაუტუნებს მას, ხოლო პროექტის დაბეჭდვის დროს, როგორც შეუსაბამო რამ, გამოტოვებულ იქმნა პროექტიდან, მით, ვგონებთ, პასუხის მგებლობაც ავიცილეთ ჩვენი თავიდან. თუ „სწობის ფურცელში“ მინც გამომზეურდა ის ადგილგები, ეს რა ჩვენი პასუხსაგებელია?! რასაკვირველი კარგე იქნებოდა, რომ იმ მუხლების გამომქვეყნებელს მოგვგონებოდა პაველ მოციქულის სიტყვები: „უკეთუ საქმელი დააბრკოლებდეს ძმასა ჩემსა, არა ვსჭამო ხორცი უკუნისამდე, რათა არა ძმა ჩემი დავაბკოლო“ (ა. კორინთ. ბ, იგ.) და აქედან იმ „მუხლების“ შესახებაც გამოვეყვანა რამოდენიმე მოსაზრებები, თუ გინდ ისეთი, რომელნიც ამ მუხლებს არ სცნობდენ „ამ დროულად... sat. sa. pient!“ (და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა). — ვევედრებით ჩვენ უფალს ყოველდღე... მაშ, ნუ შევეყვანებ ჩვენ სუსტ მიღერკოლების ძმათაც განსაცდელში, რომ ძათ განგაში არ ასტებონ და ყარაულებს არ დაუწყონ ხმობა: „მოგავშორეთ თავიდან ოტუმენცები, რომელთაც გადასთელეს მოციქულების კანონი“ და არ მოპყვენ ებდა-უბდას — ჩვენ მუდამ-ჟამს ვლოცულობთ ერთობისათვის წმიდათა დღვისთა ეკლესიასათა და არა განცალკევებისათვისო! — თითქოს ავტოკეფალობით ეკლესიასათა ერთობა ირლოვდეს! O! sancto simplicitas! და სხვა ამგვარი. უსახელო „მაშ“ მელი.სავით თავს იმკვდარუნებს, ან ნიანგის ცრემლებს აფრქვეს.

ხოლო თუ «არ იცის რასაც იქმს, მიუტევე მას, მამაო ზეციერო, ვითარმედ არა იცან, რასა იქმან»...

ასეთ მიდრეკილებების პირობა ბუნება და სხიზოლოგია საკმაოდ გამოკვლევული აქვს მეცნიერებას. ესენი ზიზლის მეტს არას იწვევენ თვით იმ ბატონებისაგანაც კი, რომელნიც თითქოს დიდის ნდობით და პატივისცემით ეპყრობიან მათ, თუ გინდ იმ სახით, რომ მათგნით შეითანხილ „დაოსს“ დიდ-მნიშვნელოვანად უერთებენ «საკითხს საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის რეორგანიზაციას». მაგრამ დავიანებოთ მათ თავი და გადავიდეთ მეორე გურ დამპარკოლებელ პირობებზე ჩვენს ეკლესიის განთავისუფლების მსვლელობაში.

რა განწყობილებით შეეგება ჩვენი მემარცხენე — პარტიული ინტელიგენცია და მისი პრესა ქართველ სამღვდლოების განმანთავისუფლებელ მოძრაობას?

სანამ ამ კითხვას პასუხს მივსცემდეთ, საქირია მოკლედ დავახასიათოთ ესენი ეკლესიის და საზოგადოდ სარწმუნოებისადმი მათ ურთიერთობის მხრივ.

როგორც რუსეთისა ისე მისმა ნათესავმა ჩვენმა „პროგრესიულმა ელემენტებმაც“ დიდი ხანია შესწავიტეს ზნეობრივი კავშირი ეკლესიასთან და სარწმუნოებასთან. განათლება და სარწმუნოება, — რაიმე პროგრესი და ეკლესია — მათ დასახეს მოწინააღმდეგე პარალელურ მცენებელად, რომელნიც, მათი აზრით, ერთმანეთს არსად არ ზედებიან, ერთი მეორეს უარს ჰყოფენ. სარწმუნოება და მისი გამომაბატველი ეკლესია, მათი აზრით, — მწვლეთის, უფიცობის ნაყოფია, ცრუ-მორწმუნეობის სამეფოა. ამისათვის ქეშმარიტად განათლებულ კაცის და პროგრესიულ პრესის ვალდებულებაა — გებრძოლოს ამ სამეფოს და დასცეს იგი, რათა განათავისუფლოს ამ სამეფოს ტყვეობისაგან ყველასათვის საზრუნავი „ხალხი“, „დემოსი“. რამ გამოიწვია ასეთი სამკედრო-სასიკოხლო განწყობილება „პროგრესიული ელემენტებისა“ და მისს პრესისა სარწმუნოებისა და ეკლესიისადმი? ამის მიზეზი ბევრია, ზოგი ამათგანი უნდა ვფიქროთ ცალ-მხრივ მიღებულ სწავლა-აღზრდაში, ზოგიც ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში. უმთავრესად კი იმ ყალბ მდგომარეობაში, რომლებშიდაც დღეს ძალა-უნებურად იმყოფება ეკლესია. სარწმუნოებრივი გრძობა ადამიან-

ში ბუნებრივია, თანდაყოლილია. ხოლო ეს გრძობა სხვა-და-სხვა გარეშე პირობების ზედგავლენით დღეულობს სხვა-და-სხვა შინაარს, სხვა-და-სხვა გარეგან გამოხატულებას. ზემო დასახელებულ პირობებში ეს გრძობა ხელოვნურად ნელდება, მახინჯდება და ზოგჯერ ისე გიმონებს ხოლმე, რომ თითქმის აღარც არის იგი ადამიანში.

სწორეთ ასეთ ვითარებაში იმყოფებიან დღეს რუსეთის „პროგრესიული ელემენტები“, მათში თითქმის მკვლარია სარწმუნოებრივი გრძობა, ამისათვის მეტ ბარგად მიანიჩა მათ ეკლესიაც და მისი სხვა-და-სხვა გვარი საკითხებიც, მით უმეტეს, რომ ევროპის სახელმწიფოებრივი ისტორია და რუსეთისა ცხრალს სდებს ეკლესიას სახელმწიფოსადმი ხელის შეწყობაში იმ სოციალურ-ეკონომიურ უკუღმართობის და პოლიტიკურ ქაზრაკების მიმდინარე ცხოვრებაში გამეფებისათვის, რომლის ქვეშ გმინავს ტვირთ-მიმე და მაშვრალი ხალხი. ასეთი ბრალდება დამოაქვს ქართველ „პროგრესიულ ელემენტებს“ ზპრესას ივერის ეკლესიაზე და მისს სამღვდლოებაზე, ჩვენ, გარდა საზოგადო ხსისათვის ბრალდებებისა, ზედ გვერთვის კიდევ ერთი მიმე ბრალდებაც — რუსიფიკატორულ ანუ გადაგვარების პოლიტიკის იარაღად ვახდობა სასულიერო და საერო მთავრობის ხელში. რუს სამღვდლოებასთან ერთად, ჩვენც გვიწოდეს „ანაფორაში გახვეულ ქანდარმერის და პოლიციის სახელით. ეს გარემოება იწვევს მათგნით ჩვენდამი უსაზღვრო ზიზნს, დამკირებას და ხშირად შეურაცხყოფასაც... რომ ბოლო მოეღოს ჩვენს ასეთ ხალხისათვის „დამლუპავ მოღვაწეობას“, ისინი არ ზოგავენ არავითარ საშვალებას — დავგიკარგონ ხალხის თვალში ყოველივე ნდობა, ჩაუქრონ მას სარწმუნოებრივი გრძობა, რომ მას აღარ ესაქიროებოდეს ეკლესია და მისი მსახურნი. ამ მიზნის მიხედვით სარგებლობენ ორი იარაღით: სარწმუნოების წინააღმდეგ ხალხში წერილობით თუ ზეპირ პროპაგანდით და სამღვდლოებისათვის ნიჭიერ შემქმნების უარყოფის შეგონებით. ასეთ საშვალეებს მიმართავენ ყველა არსებულნი ჩვენში პარტიები. ისინი ამ მხრივ საუცხოვო თანხმობით მოქმედებენ ხოლმე.

არც ერთს ზემო-აღნიშნულ ბრალდებაზე ვერ ვყოფთ ჩვენ უარს, არ ძალგვიძს იმათი სრული გაბათილება, ვინაიდან ისინი ნამდვილ ფაქტზეა აკინ-



ქულნი ჩვენ ვიტყვით მხოლოდ, რომ არიან ცოდვანი ნებსიონი და უნებლიეთნი, არიან შეცოდებანი და ბრალდებანი ისეთნი, რომლებშიდაც თითქმის ერთნაირი წილი გვიძევს ჩვენც—ეკლესიის მსახურთა და თქვენც, ბატონებო! ეკლესიას სამღვდლოება მარტო როდი შეადგენს! სამღვდლოება ეკლესიის მსახურია მხოლოდ, ეკლესია კი, როგორც სარწმუნოებრივ თავისუფლო კავშირს შეადგენს ესა თუ ის მორწმუნე-ერი და მასში, რასაკვირველია, მისი „პროგრესიული ელემენტებიც“, იმდენად, რამდენად ეს უკანანასკნელნი „ოფიციალურად“ მაინც ატარებენ ქრისტიანების სახელს და ფორმალურად ეკუთვნიან ამა თუ იმ ეკლესიას. ტყუილა კი არ უთქვამს პოეტს: „რა ერი წახდეს, ენაც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას!“ დიხს, წახდა ქართველი ერი, დაბეჩავდა ის, დაეცა იმისა ენაც, რომელიც გამომხატველია ერის სურვილებისა და მისწრაფებისა! ხოლო ეს ენა ერისა, ეს მეტყველი ორგანო მისი არის ერის განათლებული თაობა და ამისგან შექმნილი პრესა. ერის წახლმა, იმისი ენის დაცემა—ლოლიკური სიმაკროით და აუცილობლობით იწვევს წმიდა ტაძრის შეურაცხყოფა და გათასნირებასაც. ერი წახდა, თქვენც დაუთო, ბატონებო, და ჩვენც ჩირქი წავეცხო! მაშ, ეს უბედურება ერთად დაწვევია! ერთადვე უნდა გცილობდეთ მისგან თავის დაწვევას! თქვენ ცდილობთ აღსდგეთ, ჩვენც თქვენთან მზათა ვართ განვიზნათ ჩირქისაგან და ყოველივე მწიკლოვანებისაგან, მზათა ვართ ამ სახით წარცხდგეთ ჩვენი ერის წინაშე და თქვენთან ერთად კვლავ ვემსახუროთ მას... მაგამ, რას ვხედავთ?!—ამ საზოგადო რყევა-რღვნის დროს, ამ ყველასათვის გამოფიზღების და გამოღვიძების დროს, თქვენ უარს გყავთ ჩვენ, ამასვე ჩასიხინებთ ქართველ მორწმუნეებს, რომლის გულში წმ. ნინოს დროიდან ღვივის ქრისტეს სარწმუნოება, რომლის დაცვას და შენარჩუნებას შეჰლია მან თვისი ძაღლ-ლონე და რა დარწმუნდა, რომ ამ სარწმუნოებას ელის ხიფათი უსჯულოთაგან, უარი სთქვა პოლიტიკურ თვით-არსებობაზედ ც-კი, ოღონდ ქრისტეს ჯვარი არ გავარდნოდა მას ხელი-დგან. ეს ჯვართ დღესაც გამოსახულია ქართველ ერის გულში; თუ ის ცერ ამოშალა მის გულდგან ათასმა უბედურებამ, მით უმეტეს უძღურაა ამისათვის სარწმუნოების წინააღმდეგ მიმართული უსუ-


ლური პროპაგანდა. სარწმუნოების გასაბიურობებლად პროპაგანდისტები სარგებლობენ ზოგიერთ სამღვდლო პირთა უხელო უსაქციელობით და ხაზს უსვამენ ასეთ მაგალითებს. „მქადაგებელნი“ ტყვილა ხარჯავენ ენერჯიას, ჯრჩვეთ, მათ დაზოგონ ის ხალხისა-დმი სხვა უფრო პირდაპირ სამსახურის გაწვეისათვის ხალხი თვით ხედვას იმ მაგალითებს, რომლებზედაც მის უთითებენ არა-მკითხველ ოპიკუნები. ხალხი თვით სდებს მათ მსჯავრს. ხალხი ბრძენია, მას კარგად ესმის, რომ ზოგიერთ სამღვდლო პირთა ზნეობრივი განქიქება თავისთავად კიდევ არ ნიშნავს იმ სარწმუნოების უარგისობას, რომლის მსახურად დროთა ვითარებას წამოუყენებია უღირსი პირნი. სამღვდლო პირნი მხოლოდ ჭურჭლებია ქრისტეს მომღვრებისა, ისეთი ჭურჭლები, როგორც არიან, მაგალითად, ძვირფას კახურ ღვინისათვის ტკეცი, პოკეცი, ბოთლები და სხვა. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ღვინის ჭურჭლები ცუდი მოვლით და უსუფთაობით ფუჭდებიან, ცუდი სუნი აქვსთ. ასეთ ჭურჭლებში ჩასხმული საუკეთესო ღვინოც დასაღვეად არ ვარგა. ღვინის პატრონი, რა დარწმუნდება, რომ მას ჭურჭლები ვაჭუფებია, დაუყრებლივ ეცდება ახალ ჭურჭლებს შეძენას და მათ სუფთად მოვლამუნახავს. ისევე ითქმის ჩვენ სამღვდლოებაზედაც. ვსთქვათ—ის ალარ ვარგა, მაგრამ ეს ჩვენ სარწმუნოების უარგისობას როდი მოასწავებს! დაუყენოთ მას უკეთესი, შესაფერი გამომსახავ-აღმსრულებელნი და გაუგებრობასაც ბოლო მოეღება.—ვიმეორებთ, ეს ესმის ჩვენ ხალხს და ის; თუმცა ზოგჯერ ყურს უგდებს არამკითხველ ბიჭ-ბუჭა მქადაგებლებს, მაგრამ ხშირად კიდევ იფრენენ ხოლმე ასეთებს; მათ ქადაგებას, სარწმუნოების წინააღმდეგ მიმართულს დასკინის ხალხი: «გამოგზავნიან, ბატონო, ვიღაც ბაღანებს, ესენი აფოუხდებიან სკამზე და გაიძახიან: ხატი, ჯვარი, მღვდელი, სახარება, წირვა-ზიარება, ნათლა-ქორწინება ნუ ვინდათო, რატატატა, რატატატა, რატატატა!» ასეთ ალატარს სკვლის მსგავსი ალატარი და ბავშობიას გვათამაშებენო... ხალხი არ საჭიროებს არამკითხველ მქადაგებლებს სარწმუნოების შესახებ. თუ ამ ვაებატონებს ხალხისათვის სკეთებ სურთ (სურვილი ადელია, თქვენ სხვა რამ ბრძანეთ თორემ!), იმდენი ვარგებრივი და ზნეობრივი ძალა შესწევთ, რომ შეუძლიათ ხელი შეუწყონ მისს «სიკეთეს», მოიღონ მადლი და ისეთ მხარებს



ცხოვრებისას შეეხენ, რომლებზედაც მათ მიუწვდებოდა ხელიც, გონებაც და რაიმე მომზადებაც. აქაო და სარწმუნოება ისეთი გრძობაა, რომელიც არც იქმება, არც ისმება, ვერც შეგვადები ზედ, რომ გააქნოვო, ეს ვერაფერი საბუთებია მის უარ-ყოფისა. ნუ დაიფიქრებთ, ბატონებო, რომ «არა პურითა ერთითა ცოცხალ არს კაცი»...

დღე. ნ. თაყაიშვილი.

(შემდეგი აქნება)



მომალაქობრივი თავისუფლებანი და ქრისტიანობა.

რუსულიდან.

შველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ თავისუფლებისთანა მიუცილებელი საჭიროება არაფერია ადამიანისათვის.

როგორც თევზს წყალი, ისე ადამიანს სჭირია თავისუფლება. რაც მეტი თავისუფლებაა, მით უფრო ფართოდ გადაიშლება—გადორძინდება ადამიანში ღვთისგან ბოძებული ძალები. უთავისუფლებობა კი ადამიანი უძლურდება, მას შეუძლია ისურვოს სიცოცხლე, ცხოვრებას კი ვერასოდეს ეწყევა.

სიმათოსის მოპოება მხოლოდ თავისუფლებათია. სიმათოსით ცხოვრება და ღვთის სამსახური მხოლოდ და მარტოოდენ თავისუფლების გზით შეიძლება.

მიუხედავად ამისა არიან ისეთი პირები, რომელთა სიტყვით თავისუფლება ადამიანისათვის მეტი ბარგია და მისი მიღწევაში „კრამოლნიკიაო“.

გასაოცარი ისაა, რომ თავისუფლების დამოუზრგვენთ თავის გასამართლებლად ღვთის სიტყვით ხელმძღვანელობენ და უნდათ ქვეყანას დაუმტკიცონ, რომ მათი მფარველ-დამცველი ქრისტე და სახარებაა.

ასეთი გონების დამშველი და თვალის ამბელთ საქციელი თქვენს გულში ზიზის იწვევს და აუტანელ ტანჯვით მიგანჩიათ ივინი.

ხმა-მალა უნდა აღვიაროთ, რომ ივინი არიან ცრუ და სახარება თვით მათ გასამართლებს.

სახარებასაგან ანაჲ ნაკურთხია თავისუფლებას?!

აი რას ვკითხულობთ თავისუფლებაზე საღმრთო-

წერილში: ნუ აქნებით კატაქსიზმს... სდგებით თავისუფლებასა შინა, რაჟღერდებოდა მოგანაჲთა ქრისტეც.

აქედამ ის გამოდის, რომ ქრისტიანები თავისუფალი უნდა იყვნენ ყოველთვის თავიანთ მოქმედებაში, ყოფა-ქცევაში და მოძრაობაში. ისინი უნდა ხელმძღვანელობდნენ ერთად-ერთის წინააღმდეგობა. სინდისში-კი უნდა არსებობდეს ქრისტე. თუ ვინმე მოინებებს ძალით თავისუფლების გაქვლავს და ძალით აასრულებინებს კაცს უღვთო თავის ბრძანებებს, იმ შემთხვევაში ქრისტიანმა ყველაფერი უნდა მოითმინოს, თვით უკიდურესი სატანჯველიც კი, მაგრამ არ უნდა აასრულოს ის, რაც მის სინდისს და ქრისტეს რჯულს ეწინააღმდეგება.

ამ შინაგანს თავისუფლებას ადამიანს ვერაფერია ძალები ვერ წაართმევენ და რაც უნდა ეცადონ მტარვალნი მისს აღგვას, ის ყოველთვის ცხოველი იქნება და ყოველთვის ნათლად გამოაშუქებს, სანამ კაცობრიობა ისტორიულ გზას არ გადაუხვევს.

ამ შინაგან თავისუფლების გარდა არის კიდევ მეორე თავისუფლება და იგი თავს ირენს მაშინ, როდესაც ადამიანი შეიძლება თავს გარეშე განხორციელებას მისას, რასაც თვის მოვალეობად მიიჩნევს. პატრიოსანი კაცი ენას ვერ დაიღუპებს. ის ვალდებულია სინდისის წინაშე აღიმართლოს ხმა სამხილებელად. მაგრამ ნებას ვინ მისცემს? თუ რამე აშკარად წამოთქვა ხალხში მაშინვე უკრავენ თავს სადაც ჯერ არს. თუ ბევრვითი სიტყვას მიმართა და სიმათოსის აღსადგენად გაზეთში დასტამბა რამე იმ გაზეთს დღეს დაუმოკლებენ. ეს მაშინ ხდება როდესაც არაა სიტყვის და კრების თავისუფლება. აი ამ თავისუფლებათ სხვეთან ერთად ეწოდების მოქალაქობრივი თავისუფლებანი. ქრისტიანობა როგორ უყურებს მათ?

ქრისტიანობისაგან ნება დართული და ნაკურთხია ეს თავისუფლებანი უშუკველად.

ქრისტემ თავისი მაგალითით თვითონ აკურთხა ეს თავისუფლებანი და გადასცა ერს სახელმძღვანელოდ.

აი როგორ განმარტა ეს ერთმა მოსაოცებელმა მღვდელმა. როდესაც 17 ოქტომბრის მანიფესტი გამოვიდა, რომლის ძალით რუსებს ენიჭებოდათ მფარველობა პიროვნებისა, თავისუფლება სინდისის, სიტყვისა, კრებისა და კავშირებისა, ზოგა ერთებმა სთხოვეს ამ მღვდელს განემარტებინა მას საღმრთო-წერილი როგორ უყურებდა მათ?

აი მღვდლის პასუხი:

„ეს თავისუფლებანი არამც თუ ეწინააღმდეგე-
ბიან სარწმუნოებას, არამედ ითხოვება და დაწესე-
ბულია თვით ქრისტესაგანაო; სთქვა მან. თქვენ
თვითონ განსაჯეთ. პირველი თავისუფლებაა პირო-
ვნების ხელულებლობა. თვითონ ქრისტემ არ აღი-
არა ხმა მაღლა მრავლის ქვეყნის წინაშე ეს ხელ-
უხლებლობა სამსჯავროში მღვდელთ-მთავრის წინა-
შე? როდესაც ერთმა მსახურმა სცემა ქრისტეს
იმისთვის, რომ ქრისტეს სიტყვები არ მოეწონა
მღვდელთ-მთავარს, ამახედ ქრისტემ აი როგორ მიუ-
გო: უკეთუ ბოროტს ვეტყუდე, ქსქმე ბოროტისათვის;
უკეთუ კეთილს რასისათვის მეგმ (იოან. 18, 23), ე. ი.
სხვა სიტყვით რომ ვსთქვათ კაცს არა აქვს უფლება
სხვას შეეხოს თუ სიმართლეს არ გადაუხვია მან.
ჯერ უნდა ამჩნეთ და დამტკიცო რომ კაცი დამნა-
შავეა და მხოლოდ შემდეგ შეგიძლია დასაჯო იგი.
იმ აღამიანის პიროვნება კი, რომელიც არაფერშია
დამნაშავე, ხელუხლებულია. მაშასადამე ვინც ამ ხელ-
უხლებლობას არ იწამებენ და თვის ძალით მოქმე-
დობენ, ისინი ეწინააღმდეგებიან ქრისტეს ნათქვამს.

მეორე თავისუფლებაა სინიდისისა. განა სპი-
როა განმარტება მისი, რომ არსად, არსოდეს და
არავისაგან ეს თავისუფლება ისე ძრიელ და ღრმად
არავის არ უქადაგნია ქრისტეს გარდა.—ქრისტე
ძალით არავის იქერდა. მას სურდა, რომ ხალხი
თვითონ, სრულიად თავისუფლად, შესდგომოდა მას
და მიეღოთ მისი სიტყვები მრავლის გულით და
კეთილის ნებით და არა ძალ-დატანებით. ქრისტე
სასწაულებსაც არ შერებოდა იმ დროს, როდესაც
რწმუნდებოდა, რომ ხალხი მას უსმენდა გარეგნუ-
ლად.

მესამე თავისუფლებაა სიტყვისა. მთელი თვისი
სწავლა გადასცა ქრისტემ ერს ზეპირად, როდესაც
მოდლოდენ სასმენად მასთან და ყველას უანდერძა
სიტყვის თავისუფლება, რადგან უამთავისუფლებოდ
სახარების მოსმენა მოუხერხებელი იყო.

მეოთხე თავისუფლებაა კრებისა. რას წარმოა-
დგენს ქრისტეს მოძღვრებანი? ის წავიდა უდაბნოში
და მის გარშემო შემოკრბა ერთი მრავალი მოსამსმე-
ნად. ეს განა კრება არ იყო? დაბეხა და სოფლებში
ქადაგების დროს ხალხი იყრიდა თავს, სწყუროდა
მისი სიტყვების მოსმენა. მოციქულებიც ასე იქცე-
ოდნენ. ქრისტეს ამალღებებს შემდეგ ათასის კაცის

წინაშე წარმოსთქვეს ქადაგებანი, რომელს ქალაქშიაც
მივიდოდნენ, იქ გაიმართებოდა კრება და იწყებდნენ
მოძღვრებას. აი ამისთანა კრების თავისუფლება იყო
იმ თავიდანვე. პირველმა ქრისტიანებმა იცოდნენ ეს
კრების თავისუფლება და თუ მთავრობა დაშლიდა,
საიდუმლოდ შეიკრიბებოდნენ. ამგვარ მიუცილებელ
საპირობებს შეადგენდა მათთვის კრების თავისუფ-
ლებას!

სახარებაშია კავშირის თავისუფლებაცა. იესო
ქრისტემ ამოირჩია თორმეტი მოციქული და მათთან
იქონია დაახლოვებული კავშირი. მათვე შეადგინეს
საზოგადოება, საფუძველი მომავლის მსოფლიო
სამოციქულო ეკლესიისა. ეს იყო თავისებური
კავშირი. ისინი შეერთდნენ ყველა ერთის საღვთო
მიზნისათვის, რომ ეცხოვრათ ქვეშაირტად და რა-
მოღენინე ხნის შემდეგ შამოიერთეს ახალ-ახალი
წევრნი.


აქედან ის გამოდის, რომ მანიფესტში მოყვან-
ილი მოქალაქობრივი უფლებანი სახარებაშიაც
აქიანა“.

მღვდლის ნათქვამის სიტყვებიდან ნათლად გა-
მოდის ის, თუ რამდენად ცრუ და გონებით ბრმები
არიან ისინი, რომელნიც სახარების სახელით ართ-
მევენ ერს უსაპიროგს თავისუფლებათ და სიყო-
ხლეს უსაბოგნ ამ თავისუფლებათა მოტრფივალეთ.

სახარება ამოკვეთებს შრომასა და დეაწლს იმ
პატიოსან მუშაკთა, რომელნიც რამოდენიმე ხანი
სიციოცხლის დაუზოგველად შრომობენ, რომ რუ-
სეთი დაბოლოს გახდეს თავისუფალი, რომ რუსეთ-
ში დამყარდეს სარწმუნოება, ღმერთი და სიმართლე
სრულის თავისუფლებით და ცხოვრება მოეწყოს
ისე, როგორც მოითხოვს სინიდისი.

ამ მუშაკთა შრომამ ნაყოფი გამოიღო. რუსე-
თში იწყება ახალი ცხოვრება. 27 პარიოს შესდგა
სახელმწიფო სათათბირო. მისი საქმეა უზოუნველ-
ჰყოს რუსეთის მცხოვრებთათვის პირველად მოქა-
ლაქობრივი თავისუფლებანი 17 ოქტომბრის მანი-
ფესტში მოყვანილი და მინისტრების—ვიტტე და
დურნოვოსაგან წარმთეული.

მღ. კ. ანთაძე.



გონების სალაროდან

მეფესა და ერზე ჭირი მოიწვევა, როცა მორწმუნენი ღვთის სამსახურს დააკლებენ და მის მცნებას გადავლენ. როგორც კეთილი მამა საკეთილოდ სწოტენის თავის შვილს და სჯის, თუ არ აღასრულა კეთილი, ღმერთიც ამ გვარადვე გვწოტის და გესჯის ჩვენცა-

წიგნი ქუთის საღესავია.

შრომის მოყვარეს ნაშრომი იაღონსავით უმღერის და ატკობს.

ცრუ ხუროთ მოძღვარი და ცრუ მწიგნობარი ვიდრე განვიდოდენ სოფლისა ამისგან უკვე დაიმარხებიან მათ ნაშენებთა და ნანგრევ-ნამუსრევთა ქვეშე.

თქმულა, მოძღვარი იგივე მთესვარია, მხოლოდ არა ხვარბლისა, არამედ სულიერის იეჭლისა: ზნეობისა, კეთილის ქვევისა, სიტყვა-პასუხისა და წიგნისა.

არ მჯერა მტერმა დააკლოს სოფელს იმდენი რამდენსაც ავენებს მას მოძღვარი ხენეში, დრკუ, მსმელი, უვიცი და მუცლის ამყოლი.

კეთილი მოძღვარი იგია, ვინც, როგორც ბნელეში ლამპარი, ნათობს და ნათელს ჰყენს თავის სამრევლოს.

მოძღვარი, ენა-ტკბილად მოხუბარი, სახიერი და გამჭირახი გონებითი საზრდო, სჯული და კანონია მრევლისათვის.

ადგომის შემდეგ ოფლი ღვარე, რომ დაწოლი-სას ტკბილად და გემრიელად დაიძინო.

მხიარულად წყება და მხიარულად დგება მხოლოდ ის, ვინც დარწმუნებულია, რომ მისი ღლიუ-რი შრომა შეერგო მისთა მოყვასთა.

მწურონელი კაცის თვისება ასეთია: რომ შეგხედება ერთობასა და სიყვარულზე დაგიწყებს ლაპარაკს, როცა გაგაცილებს არაფერში დაგზოგავს-

ცუნდრულკა კაცი ცლიერ ქვევრსა ჰგავს, რაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებს.

ღიღი კაცი მხოლოდ ის არის, ვინც მუსეავით უელის და ათმობს ღიღთაცა და პატარათაც.

გიყვარდეს მშობენი, რადგან იგინი არიან მიზეზი შენის კაცობისა და სახიერებისა.

გონიერმა მოახსენ ხელმწიფეს: მეფეო! თუ ხელმწიფება შენი გაფრქენის (აღაყვავებს) ერსა შენსა მსგავსად ვარდობის თვისა, სახსენებელი შენი იღიდების ამიერიღვან უკუნისამდე.

განათლება ის არის მხოლოდ, რაც მაცხოვარმა გვიქადაგა, სახელდობ: „მიყვარე მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი.“

ზოგჯერ ბედნიერება უბედურებაა და უბედურება ბედნიერება. ხშირად ბედნიერება ჰსძენს კაცს სიამაყესა და ცრუ ქაიღის, უბედურება კი სიწყნარესა და სიწრფელს.

უძლეველია კაცი სიტყვა-ძლიერი, მკლავ-მეგარი, ფეხ-მარდი, სულ-გრძელი, მეღვარი, მხნე და ქველი.

თქმულა ძველთაგან: გველის სიჭრელეს გველ-ლაძუა კაცის სიჭრელე აღემატებაო.

კაი შვილი მამისათვის და კაი მამა შვილისათვის წმიდანებია ურთიერთის (ერთმანეთისათვის).

როგორც დედაბოძი სახლისა, ეგრეთვე ქკუა ბურჯია კაცისა.



ახალი ამბები და შენიშვნები.

* * გენ. ალიხანოვი, რომელიც ყუმბარის ნამტყრევებით დაიჭრა ქუთაისში, ამ ჟამად თავს სუსტად გრძნობს, სიტყმაც მოუმატა, ასე რომ ოპერაცია, რომელიც გუშინ უნდა გაეკეთებინათ, გადაიდო. ჭრილობა როგორც ხელა ირკვევა, მძიმე აღმოჩნდა. სხვათა შორის, ალიხანოვს ფილტვი აქვს დაზიანებული. (* შრომა *)

* * პეტერბურგიდან მიღებულ ცნობების თანახმად, უმაღლეს წრეებში ლაპარაკია თურმე, რომ საქართველოს ეკლესიის კათალიკოსი თეოდორ ხელმწიფემ დანიშნოს ხოლმე. განზრახულია კათალიკოსად ქართველი დანიშნოს. კათალიკოსს ყოვლად თბილისში ერთი ქორ-ეპისკოპოსი რუსი, ხოლო ეკატერინოდარში მთავარ-ეპისკოპოსი რუსივე. დანარჩენი ეპისკოპოსები ქართველები იქნებიან. თუ ეს ამბავი გამართლდა, რომელიც არ გვეჯერა, მაშინ კათალიკოსის ქორ-ეპისკოპოსი იმ დღილს დაიქვრს რაც ეკირა ვოსტორგოვს ექსარხოსთან. სახელი კათალიკოსის იქნება და მოქმედება ქორ-ეპისკოპოსის...

* * საქართველოს ექსარხოსის კანცელარიაში აცნობა სასულიერო სემინარიის საბჭოს, რომ იგი შეუდგეს იმ საკითხების განხილვას, რომელიც უნდა მოხსენდეს სეპარაქო სამღვდლოების კრებას. სემინარიის საბჭომ ჯერჯერობით დაადგინა: იმ ფულით, რომელიც მოწაფეების შენახვას სჭირდებოდა და არ არის დახარჯული, დააარსონ პირველ კლასთან სამი განყოფილება, რადგან მოწაფეთა რიცხვი 200-მდის აღის მომავალ სამოსწავლო წლიდან. ჯამაგირებიც მოემატოთ მასწავლებლებს.

* * სათათბიროს ზოგიერთ დეპუტატს შვარზ-მელებსაგან მუქარა და მოწოდება მიუღია. აფრთხილებენ, ვინც კერძო საკუთრების მოსპობას მოითხოვს, მოუკლავთო. ამას გარდა იმუქრებიან, თუ გამოცხადდება ანნისტია აგრარულ მკვლევრობას შესახებ, 1886 სოფელს გადაეწვევითო, რადგანაც გლეხებმა სწორეთ ამდენი გაუმჯობესებული და კულტურულად მოწყობილი მამული გაანადგურესო. წყრილზედ შვიდ კაცს უწერია ხელი, რომელთაგანაც ერთი თავმჯდომარედ არის დასახლებული, ერთი მდივანად, ხოლო დანარჩენნი საბჭოს წევრებად.

* * შინაგან საქმეთა სამინისტრომ 410 ათასი მან. გადასდო საპროზოილებების გასაფართოებლად...

* * იმ კომისიამ, რომელსაც „სასულიერო მოამბის“ ყოფილ რედაქტორის დეკანოზ ვოსტორგოვის მიერ გაფლანგულ ფულის რაოდენობა უნდა გამოერკვია, უკვე დაამთავრა საქმის გამორკვევა. როგორც დაურღვეველ საბუთებით აღმოჩნდა დეკანოზ ვოსტორგოვს ამ რედაქციის ფულიდგან გაფუფლანგავს სულ 202 მან. 74 კაპეიცა. ჩვენის აზრით ეს ფული გაფლანგულად არ ჩაითვლება. ეს ფულიები უკანონოდ გარდასცა ექსარხოსმა აღექსიმ და გადუხადა ის ვალი რასაც დაპირდა ქება-დიდებათვის ვოსტორგოვს...

* * 25 მაისს სათათბირომ წინადადება მისცა სამინისტროს, ხუთის დღის შემდეგ წარმოადგინოს ახალი იმ კანონ-პროექტის შესახებ, რომელიც სკედილის სასჯელის გაუქმებას ეხება. სამინისტრომ განუცხადა სათათბიროს, ხუთი დღის შემდეგ კი არა, ერთი თვის შემდეგ წარმოგიდგენთო. იციან ალბად რომ ერთ თვეს იქით არც ერთი სათათბიროს წესი არ იქნება პეტერბურგში...

* * საქართველოს ექსარხოსს, რომელიც დიდი ხანია რუსეთშია წასული, ნება დაურთავს ექვსი იენისისათვის ქართლ-კახეთის სამღვდლოების კრების მოსახდენად იმ პირობით, რომ თითო საბლალოჩინოდან თითო დეპუტატი უნდა იყოს კრებაზე გაგზავნილი. უმაღლესად დამტკიცებული წესდებათი კრებულისაგან ერთი დეპუტატის გაგზავნა სამღვდლოების კრებაზე ამით გაუქმებულია...

* * შორაპნის მახრის მარშალი თავ. ნესტორ ხილდებერგიშვილს რვა კაცი დახვედრია გზაში 31 მაისს შორაპნიდან მიმავალს და მოუკლავთ. მისი ძმა, რომელიც მისთან ერთად მიდიოდა გაქცეულა ცხენით და გადაჩინილია. ქუთაისის ვიცე გუბერნატორი, პოლიცია და გამოძიებელი მივიდნენ და ნამდვილად გაიგეს, რომ მარშალი მოუკლავს...

* * ალისუბნის სკოლაში მისულან დარაჯები (стражники) პოლიციის ბოქაულით და პირველად თავდები დაუშენიდა და მერმე მასწავლებლებისათვის უცქემით და წასულან.

* * ერთი ვაჭარი ჩარეკოვი სომეხი თავის დუქნის წინ მოუკლავთ ჩხარში ამ ორი დღის წინეთ. მკვლელები ვერ უნახავთ. პოლიცია ძლიერ ფრთხილად იქცევა. თუ ორი სამი ტროაჯინკები არ გაიყოლიეს გზაში ისე ვერ დალიან...



* * ხარბინიდან იუწყებიან. ძლიერის კრიზისის გამო დიდძალი ხალხი უსაქმოდ არის დარჩენილი. პოლიცია სდევნის უსაქმოდ დარჩენილებს, განსაკუთრებით კავკასიელებს. საუკრობილეები სავსეა კავკასიელებით. ამით ეტაფით ჰგზავნიან სამშობლოსაკენ. გთხოვთ გამოაქვეყნოთ ვახუთებში, რომ ნულა მოდიან აქეთკენ, თორემ ჩვენსავით უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდებიან. უსაქმოდ დარჩენილი მუყუბა.

* * გლუხოვის (ჩერნიგოვის გუბ.) თავად-ზინაურთა წინამძღოლმა კონუბიემ თავის მამულში ციხე ააშენა. ციხის დამცველად კონუბიემ კავკასიიდან ინგუშები მიიწვია.

* * ქ. ტულაში ხმა დადის, შავი რაზმელები ქალაქის ასაკლებად ემზადებიანო. ამის გამო მოქალაქეთა დებუტატია იყო გუბერნატორთან სთხოვა აკლემის წინააღმდეგ ზომების მიღება და შავრაზმელთათვის იარაღის აყრა. გუბერნატორმა პირობა მისცა დებუტატისას, იარაღს აყრიო. მაგრამ შავი რაზმელები ყურსაც არ იბერტყავდნენ. „ჩვენი რაზმი უმადლეს მთავრობის მიერ არის დაარსებულიო.“ ამბობდნენ ისინი: „ჩვენ ადმინისტრაციასთან საქმე არა გვაქვს და ვერც იარაღს ავყურის ვინმეო.“ მართლაც და ამის შემდეგ გუბერნატორმა ხელმეორედ დაიბარა ქალაქის ერთი დებუტატი და უთხრა, რომ ჩემი სიტყვები სწორედ ვერ გაგიგიათო: შავ-რაზმელთა მილიციას იარაღს არ აყრიო.

* * შაბათ საღამოს დაჭრილი ზედაზმედველი სასულიერო სსწავლებლისა გრეკოვი გარდაიცვალა 29 მაისს სამხედრო სამკურნალოში. გაცნობებთ დაწვრილებითი ცნობებს გრეკოვის დაქრის შესახებ. როცა საღამოს ლოცვა გათავებულა და ეპისკოპოსობები აღუქმანდრე და ლეონიდე გამოსულნი, მათ დასწევია გრეკოვი, რომელიც კიბეზე ჩამოსვლის დროს ლეონიდეს დახმარებია. სწორეთ ამ დროს დაუხლიათ რევოლვერი რამდენჯერმე და გრეკოვთან ერთად კინაღამ ლეონიდეც დაუჭრიათ. ეპისკოპოსი აღუქმანდრე და ხალხი სწრაფად მოსცილებია ამ ადგილს და დაჭრილ გრეკოვთან მარტო ეპისკოპოსი ლეონიდე დარჩენილა. კარგა ხანი გასულა, ვიდრე ხალხი გონს მოსულა და დაჭრილის საშველად მისულა. გრეკოვი შემოდგომაზე გადმოიყვანეს აქაურ სასულიერო სასწავლებლის უფროსად, წინად იგი ტფილისის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლობდა. („შრომა“)

ხაზრის საბლალოჩინო სამღვდლოების კამბი-საგან დადგინილი ჩაჟოღოუსია.

„1906 წელს მაისის 13 დღეს.

ხაზრის საბლალოჩინო ოლქის სამღვდლოების კრებამ მოისმინა „ცერკოვნია ვედომოსტის“ ამა წლის მეცამეტე და მეთოთხმეტე ნომერში მოთავსებული წერილი, რომლის ავტორი იწერება, რომ ვითომც საქართველოს სამღვდლოებსა არ სურდთ თავის ეკლესიის ავტოკეფალობა და ერთხმად დაადგინა შემდეგი: ჩვენ პეტრიკით ვთხოვლობდით და დღესაც მტკიცედ ვითხოვთ ჩვენი სამშობლო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. ამას მოეთხოვება ჩვენ არა განცალკევების სურვილით, არამედ ავტოკეფალურ ეკლესიათა შორის ქეშმარტი ქრისტიანული და სანატრელი ურთიერთობის დამყარებისადმი მისწრაფებით აღჭურვილნი და მასთან მოტრფალინი ხალხში სარწმუნოების განმტკიცებისა. სამღვდლოება ზიზღს უცხადებს ხსენებულ წერილის ავტორს და მოითხოვს, რომ სამშობლო ეკლესიის სათავეში მდგომმა პირებმა—მღვდელთმთავრებმა უფრო გაბედული და სამართლიანი ხმა აღმოაღონ სამღვდლოების რწმუნებულეთან ერთად ჩვენს წათელიდ უფლებათა აღდგენის საქმეში. ამასთანავე სამღვდლოება გადპურით აცხადებს, რომ თუ ამ საკითხს სასურველი ბოლო არ მიეცა მშვიდობიანს გზით, იგი იძულებული იქნება მიმართოს გამწვავებულ ზომებს.

ამ რეზოლუციასზედ არმოცდა რვა მღვდლისა და მუღაყთინის საკუთრას სჯელს მოწყრას გამოწმებ, ბლალაჩინა მღვდელა ასანს ახესამე.

II.

ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი, გორის მაზრის ბორჯომის მეთე ნაწილის საბლალაჩინო ოლქის სამღვდლო და საეკლესიო მსახურნი, ამიო ვაცხადებთ, რომ პეტრიკით ვთხოვლობდით და დღესაც მტკიცედ ვითხოვთ ჩვენი სამშობლო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. იმ გვარი შინაარსის წერილებს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, როგორც არის, მაგალითად ამ წლის „Церковныя Вѣдомости“-ის მეცამეტე და მეთოთხმეტე ნომერში მოთავსებული, ჩვენ მიგვანია საზოზღარ პასკვილად. ხელს აწერენ ოლქის სამღვდლო საეკლესიო მოსამსახურენი.

ამ ოქმის სახელდღველი გამოწმებ ხელის მოწერითა ჩემითა და სახელმწიფო ბეჭდის დასმითა. მაისის 27-ს 1906 წ. დ. ბორჯომი.

ბლად. მდ. იაკაკიმე გვარგამე.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სასწამუნებასა და კეთილზნეობაზე.

მღვდელობა.

მღვდელობა — ქრისტეს მწყემსობა — გვიღვენს მოძღვართა, ვითა ცხოვართა, რათა მწყემსურად, რათა მამურად, წინა გვიძლოდნენ და მიელტოდნენ ზენა მიზანსა ცხოვრებისას.

ამ საიდუმლოში, მღვდელმთავრის, ხელდასხმითა ღვთისაგან ეძლევა კაცსა ნება საზოგადოდ მღვდელ-მოქმედებისა, საიდუმლოთა აღსრულებისა ერის-კაცთათვის და სწავლა-მოძღვრებისა ქრისტიანული სასწამუნებისა და ცხოვრებისა. ეჭვი არ არის, რომ ვინც ასწავლის სასწამუნებასა და წმიდა ცხოვრებასა, თვით უნდა იყვეს მკოდნე, მორწმუნე და წმიდა ცხოვრებისა. ფიქრი და სჯა უნდა იქონიონ თვით მწყემსთა. ხოლო ერისკაცთა უნდა ახსოვდეთ, რომ მწყემსობა არის ღიდი და მძიმე მსახურება კაცის უძლური ბუნებისთვის; მეორეს მხრივ, ეს მსახურება უსაჭიროესია ქრისტიანობაში, სადაც გარდაწყდება საუკუნო ხვედრი ქრისტიანე კაცისა.

ძვირფასია მწყემსი, რომელსაც შეჰყავს ბუნების უვილი მადლის სამეფოში — ქრისტეს ეკლესიაში, რომლის საშუალობითაც ქრისტიანეს შეუძლიან მიიღოს საუკუნო ნეტარი ცხოვრება.

ძვირფასია მწყემსი, როგორც წარმომადგენელი ქრისტე-მატთვრისა, რომელიცა ქრისტიანეს მიუხევეს ცოდვთა.

ძვირფასია მწყემსი, რომელიც ასაზრდოვებს სტიანესა ქრისტეს ხორციითა და სისხლითა.

ძვირფასია მწყემსი, რომელიც ღვთის სახელითა აკურთხებს მეუღლეობის კავშირსა.

ძვირფასია მწყემსი საღმრთობიერო სარეცელთანაცა, სადაც იგი გასწმენდს ქრისტიანეს ცოდვათაგან და შეაერთებს მაცხოვართან.

ძვირფასია მწყემსი ცივ სამარგსთანაც, სადაც იგი აკურთხებს ქრისტიანეს გვამსა განსასვენებლად სასიხარულო დილაღმდე ქრისტეს მიერ აღდგომისა.

ძვირფასია მწყემსი, როგორც მლოცველი, მავდრებელი ცოცხალთა და მიცვალებულთა ქრისტიანეთათვის.

ასე ღიდა მწყემსი მღვდელობის მადლითა. ღიდა მოვალეობა მისი. ყოველმა ქრისტიანემ უნდა იცოდეს, რომ მღვდლისა ანუ სხვათა სიწმინდე მას არ აცხონებს, უკეთუ თვით იგი არ იქნება მორწმუნე და წმიდა ცხოვრებისა. ყოველმა ქრისტიანემ პირადად უნდა აღასრულოს თვისი ქრისტიანული მოვალეობა. — სხვის ცოდვის მიბაძვა, ანუ გაკიცხვა არავის არ გაამართლებს ღვთის წინაშე.

ქორწინება.

ქორწინებითა — ღვთისა წესითა — ნება-ცხოვრება ორთ იკურთხება, რათა იცხოვრონ, რათა იზრდონ სიყვარულითა, ერთგულობითა.

ქორწინება არის საიდუმლო ქრისტეს ეკლესიისა. ამ საიდუმლოს, როგორც თვით ქრისტიანობას, დასაბამი აქვს ედემში, სადაც ჩვენთა წინაპართა ადამ და ევა მ მიიღეს ღვთის კურთხევა. ამ კურთხევითა ღმერთმა მისცა მათ ძალა სიყვარულისა, შემწეობისა და შეილოსნობისა. ამავე კურთხევას მიიღებენ მეუღლენი — ქრისტიანენი ქორწინების საიდუმლოში. იგინი ერთდებანთ ერთ-სულ და ერთ ხორცად. ეს შეერთება არის ისე წმიდა და ღიდი, რომ ემსგავსება ქრისტეს ეკლესიასთან კავშირსა. ქრისტეს უყვარს ყოველი ქრისტიანე სული. ამიტომ მეუღლეთა — ქრისტიანეთაც უნდა უყვარდეთ ერთმანეთთა არა მხოლოდ ხორციელად, არამედ, უადრესად, სულიერით, ზნეობითი სიყვარულითა. ამ სიყვარულმა უნდა აღაშენოს როგორც კვეყნიერი მათი

კეთილ-მდგომარეობა, მომეტებულად საუკუნო ცხო-
ნება. ასეთია ნამდვილი მიზანი იმ კურთხევისა, რო-
მელსაც მიიღებენ მეუღლენი ღვთისაგან ეკკლესიის
საშუალებითა. მათ სიყვალულმა უნდა დაჰფაროს
ურთიერთის ნაკლებეანება. აქ უნდა იყვნენ: სიბ-
რალული, შველა, პატივება, დათობა და შეგნება
საკუთარ შეცდომილებათა. ამ სიყვარულმა უნდა
აღაშენოს ქრისტიანულ ოჯახში ტაძარი კეთილ-
მსახურებისა. ამ ტაძარში უნდა აღიზარდნენ შვილნი,
ღირსეულნი როგორც ქვეყნიურისა, ისე ზეციურის
მამულისა. ასეთნი უნდა იყვნენ ნაყოფნი ღვთის
კურთხევისა. ხოლო უკეთუ ვხედავთ; წინააღმდეგ,
არა სსახურველ სურათსა, ამის მიზეზი არის ღვთისა
და მოვალეობის დავიწყებაში. ვინც ივიწყებს ღმე-
რსა; იგიცა მოაკლებს მათ თვისმადლსა და კურ-
თხევისა. ეს უნდა ახსოვდეთ მეუღლეთ—ქრისტიანე-
თა, რომ შეასრულონ თვისი მოვალეობა ღვთისა და
კაცთა წინაშე.

ზეთის კურთხევა.

ზეთის კურთხევა
სენა ერევა,
თუ არს რწმუნება,
მასთან ღვთის წება—
ცოდვიან შვება,
მათ მიტევება
შეპაველია,
ურყველია.

ზეთის კურთხევის საიდუმლო აღსრულდება
ავად-მყოფთ ქრისტიანეთა ზედა. ამ საიდუმლოში
მადლი ღვთისა განკურნავს ხორციელ სნეულებასა-
ცა, უკეთუ ღვთის შეხედულობითა, ეს საჭირო და
სასარგებლოა ავად-მყოფისათვის, და მიენიქება მას
ცოდვითა მიტევება. აქ ღვთის მოწყალეობა და ხარ-
წმუნობა ავად-მყოფი ქრისტიანისა თავებობენ,
რომ, უკეთუ იგი გარდაიცვლება ამ საიდუმლოს
შემდეგ, დამკვიდრებს ღვთის სასუფეველსა, ასე
სახიერია ქრისტე—მაცხოვარი ჩვენი, რომელმანც
დააწესა თვით ეკკლესიაში ესოდენ ცხოველ-მყოფე-
ლნი საიდუმლონი. აქ კაცის მხრივ მოითხოვება:
სარწმუნოება, სიყვარული და სასიყვარულო, მოითხო-
ვება არა რაიმე შეუღლებელი, არამედ მხოლოდ ისა,
რაც მოსდამს კაცის ბუნებასა; როგორც განიერსა;
ზნეობრივსა და თავისუფალ არსებასა, რაშიაც თვით
იგივე საჭიროებს.

კათილი რჩევა.

აღამის შეიღო,
მადლით მისიღო!
იგნ ქვეყნა,—
ეს ღვთისა ყანა—
ყოფილს გამეხი,
თავდა შენი.
ეაგ ღვთის ტაძრად,
რომ იყო ნეტრად:
ეს არს მიზანი,
ეს არს ნიშანი,
შენი სულისა,
ვით შედავისა.
თუ ასე „არა,
არა და არა“,
მამ სსიხება,
რასე ექნება,
ოღეს სიველია,
ეს მწარე ხილი
შენი ცოდვისა,
ვით ბრატისა,
არც გმბეშება,
არც მოგშორდება?
მხოლოდ დმერთშია
ცხოვრების ია,
გარდას სუნელია,
შეგნა არს მქელია.
იქამე დმერთა,
ანსება ერთა;
გიფარდეს იგი,
ვით: შენა რვი.
ქმიდა ცხოვრება
ნუ გეხარება:
წუთი სოფელი,
ცოდვისა მუთელია,
დრეებითა გაძღობს;
დრეებითა გატკობს.

სულ ამათა,
სულ საბრლოთა
მისი ღმთილი,
მისი სიღვდი:
მათი ბოდოთა,
აქა მსოდოთა
სულისა შიშილია,
მწარე ტირილია...
ნუ იტყვით „არა,
არა და არა“,
ეს შენი „არა,
არა და არა“
დღიურ მშრალია,
დღიურ მქრალია.
ნუ მოტყუვდები,
ნუ შესძლდები
შენად მუთელია,
ნუ ემანება
ამა სოფელსა:
მის ელვარება,
თუმცა გერგება,
ვითარ სიუღუქუ
ცრუა საუხუქუ.
იეგ ვხანურ,
რომა იმიერ
არს შენი ბელი,
შენი იმელია.
ამ შენ იბდალსა,
ზეციას მადლსა,
შესწირე გული,
შესწირე სული:
იგი მამიან
ზეციას შინა
ახლად იშვება,
ნეტარ იქნება.

მაშინ ღვთაება,
ქმიდა სამება,
ვითარცა მშისასა,
ნათლით შეგმისას...

ი. ბაღუევი.